პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

პირველ და მეორე ქართულ მსროლელ დივიზიების პოლიტგანყოფილებების ყოველ დღიური ორგანო

წელიწადი მეექვსე

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლუნაჩარსკის (ყოფ. ევანგულოვის) ქუჩა № 2.

დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია უკან არ აბრუნებს.

ხელის მოწერის პირობები: ცალკე ხელის მომწერთათვის 1 თვით—50 კ., 3 თვით—1 მ. 50. 6 თვით—2 მ. 50 კ. 12 თვით—5 მ.

წითელ არმიელებისათვის კოლექტიური ხელის მოწერა: 1 თვით—40 კ. 3 თვით—1 მ. 10 კ. 6 თვით—2 მ. ერთი წლით 3 მან. 80 კ.

განცხ. ფასი 1 სტ —80 კ. სტრ. მე 4-ზე—40 კ.

ფასი 3 კაპ.

110 (1105) | პარასკევი, 21 მაისი 1926 წ. | 110 (1105)

## საბანაკო სწავლება და დისციპლინა

ნაწილების ბანაკში გასვლით ამოცანად კარგად მოემზადოს კვლავ მთელი სიგრძე სიგანით სამხედრო საქმეში.

იჭრება დისციპლინის საკითხი. სოფლის სიახლოვეს შეუძლია არა ერთ და ორ წითელ არმიელს აღუძრას სურვილი თვითნებით წასვლისა. ცხადია ასეთ ცდას დისციპლინის შესუსტებისა ამ თავითვე უნდა გამოეცხადოს სასტიკი ბრძოლა. პირველ ყოვლისა თვით წითელ არმიელების მხრივ.

საბანაკო სწავლება—ეს უმნიშვნელოვანესი პერიოდია წითელი მებრძოლის სამხედრო მომზადებაში. სწორედ ამ მომენტში ღებულობს ის მებრძოლის საბოლოო პრაქტიკულ მომზადებას ე. ი. პრაქტიკულად სწავლობს მას, თუ როგორ უნდა მოიხმაროს თავი ბრძოლის პირობებში.

ამიტომაც სწორედ სამხედრო სწავლების ასეთ პერიოდში საჭირო არის მტკიცე, ფოლადისებური დისციპლინა. ყოველი წითელი მებრძოლი აქედანვე, მშვიდობიან პირობებში უნდა შეეჩვიოს დისციპლინიანობას, რომ ბრძოლის ჟამს თავის მოწოდების სიმაღლეზე იდგეს.

ამიტომაც ყოველმა წითელ არმიელმა მთელი თავისი ძალღონით ხელი უნდა შეუწყოს მტკიცე რევოლიუციონური დისციპლინის დაცვას წითელი ჯარის რიგებში.

ყოველმა წითელ მოლაშქრემ მტკიცედ უნდა დაისახოს ამოცანად კარგად მოემზადოს სამხედრო საქმეში.

ვიმეორებთ დრო საზაფხულო სწავლებისა არც ისე დიდია, გასავლელი და შესასწავლი კი ბევრი.

არც ერთი წუთი, საათი ტყუილა უბრალოდ არ უნდა იქნას გაცდენილი—უნდა მოხმარდეს სამხედრო და პოლიტ მომზადებას.

ყოველმა წითელ არმიელმა უნდა ერიდოს დისციპლინარულ სასჯელს—ე. ი. დისციპლინის დარღვევას.

რაც ნაკლები იქნება დისციპლინარულ სასჯელის შემთხვევები, მით უფრო მტკიცე იქნება რევოლიუციონური დისციპლინა, მით უფრო ნაყოფიერი იქნება საზაფხულო სწავლება.

სამხკორეში, როგორც კედლის გაზეთში, ისე „წითელ არმიელში“, მოვალენი არიან გამოაშზეურონ დისციპლინის დამრღვევლები და გააშუქონ დისციპლინის დარღვევის ყველა შემთხვევები. ამასთანავე უნდა იწერებოდეს დისციპლინის განმტკიცების ფაქტების შესახებაც.

მაგარი, ფოლადისებური დისციპლინა უტყუარი გარანტიაა საზაფხულო სწავლების ნაყოფიერად დამთავრებისა და ჩვენი წითელი ჯარის საბრძოლო უნარის ამაღლების.

ყოველმხრივ განვამტკიცოთ ის ჩვენს რიგებში!

## ინგლისის ბურჟუაზიის შეტევა მუშათა კლასზე

ძვირად უჯდება ინგლისის პროლეტარიატს ბელადების გამცემლობა. გათავხედებული კაპიტალი მთელი ფრონტით გადავიდა შეტევაზე მუშათა კლასის წინააღმდეგ.

ინგლისის ბურჟუაზია ზეიმობს თავის გამარჯვებას და სასტიკად ძიობს შურს მუშებზე. უკანასკნელი რადიო ამბები გადმოგვცემს, რომ დაპატიმრებულ მუშების რიცხვი უკვე 1000 მეტია. მაგრამ ბურჟუაზიული ინგლისი მოქმედებს არა მარტო რეპრესიების საშუალებით, არამედ ის სცდილობს სრულიად გაანადგუროს მუშათა პროფკავშირების ძალა.

კონსერვატორები მოითხოვენ, რათა გამოცემულ იქნას კანონი, რომლის ძალითაც პროფკავშირებს უფლება არ აქვთ რაიმე გაფიცვა გამოაცხადონ მწარმოებლებთან წინასწარ მოულაპარაკებლად.

ეს—მართლადაც განადგურება იქნება ინგლისის პროფკავშირების. ამასთანავე ერთად ბურჟუაზია მტკიცედ ანხორციელებს იმ სამარცხვინო ხელშეკრულებებს, რომლებიც დასდვენ პროფკავშირების გამყიდველ ბელადებმა. ამ ხელშეკრულების თანახმად მუშების უმრავლესობას მწარმოებლები არ ღებულობენ სამუშაოზე.

და აი იმ დროს, როცა ბურჟუაზია მთელი თავისი სიმხეცით ილაშქრებს მუშათა კლასის წინააღმდეგ, გამყიდველი ბელადები მოუწოდებენ მუშებს მშვიდობიანობისაკენ, მორჩილებისაკენ, ისინი დორბლმორეული გაჰყვირიან ყოველ გზაჯვარედინზე, რომ „გაიმარჯვა დემოკრატიამ“, „გაიმარჯვა ერის გონიერებამ“ და სხვა ამდაგვარ ლამაზ სიტყვებს.

შეთანხმებლები სცდილობენ ლამაზი სიტყვებით დაფარონ ბურჟუაზიის თავხედური შეტევა. მაგრამ საეჭვოა, რომ მათ კვლავ შესძლონ ინგლისის მუშათა კლასის დაბრმავება.

მუშები უკვე ხედავენ თავის დამარცხების მძიმე შედეგებს. ლამაზი სიტყვები არ შველით მათ. მათ წინაშე კვლავ იჭრება ბრძოლის საკითხი.

სხვა გამოსავალი მათ არ აქვთ.

ბრძოლა ან სრული დამორჩილება კაპიტალის წინაშე—აი როგორ სდგას საკითხი. და როგორც უკანასკნელი რადიო გადმოგვცემს ინგლისის მუშათა კლასი კვლავ ბრძოლის გზას ადგება.

რკინისგზელების პროფკავშირების მთავარი განყოფილებები მოითხოვენ დაუყონებლივ გაფიცვის გამოცხადებას.

ეს გადაწყვეტილება ნათლად მოწმობს მას, რომ კლასობრივი ბრძოლა ინგლისში მწვავდება და რთულდება, რომ ის არ დამთავრებულა. ასე რომ ბურჟუაზიის და ინგლისელ მეწვეიკების ზეიმი ნაადრევია.

უახლოესი დრო გვიჩვენებს, რომ ინგლისის მუშათა კლასი არც ისე ძაბუნადაა, რომ პირველ შეტევისთანავე დაყაროს ფარხმალი ბურჟუაზიის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ის მალე აჩვენებს თავისი მტრებს თავის ძალას.

—ე.

# გაფიცვის მოხსნის შემდეგ ინგლისში

## მთავრობას განზრახული აქვს ჩაატაროს სამუშაო ხელფასის დაკლება ინგლისის სასამართლო უკვე შეუდგა გაფიცვის დროს დაპატიმრებულ მუშების გასამართლებას

### რკინის გზის კავშირის მთავარ დარგების მუშები მოითხოვენ გაფიცვის განახლებას

## შემთანხმებელი კომისია

მთავრობის წარმომადგენელმა განუცხადა სამთა-მადნო მუშათა გაერთიანების აღმასკომს:

„მთავრობას განზრახული აქვს დაუყონებლივ ჩაატაროს ხელფასის დაკლება 10 პროცენტით. ამის შემდეგ სამუშაო ხელფასის საქმეზე დანიშნულ კომისიამ უნდა გადასჭრას საკითხი ხელფასის კვლავ დაკლების შესახებ.

კომისია შესდგება ორივე მხარის წარმომადგენლებისაგან ნეიტრალური (მიუდგომელი, გარეშე) პირის თავმჯდომარეობით.

თუ ვინიცობაა მხარეები ვერ შეთანხმდა პირობებში, საკითხს გადასწყვეტს კომისიის თავმჯდომარე, რომლის წინადადება სავალდებულო იქნება ორივე მხარესთვის“.

## ინგლისის ციხეებში 1.000 მეტი მუშა ზის

ინგლისის ციხეებში ამჟამად ათასზე მეტი მუშა ზის, რომლებიც დაპატიმრებული არიან გაფიცვების შემდეგ. პროფკავშირთა მთავარ საბჭოს არავითარი ზომები არ მიუღია ჯერჯერობით პატიმართა ოჯახებზე დასახმარებლად.

რუმელდასის ინგლისის განყოფილებამ დაარსა პატიმართა ოჯახებზე დახმარების ფონდი.

## მოითხოვენ გაფიცვის განახლებას

ინგლისის რკინისგზის მუშაობა აღდგენილ იქნა 50 პრ.-თ. რკინისგზის კომპანიები უარს ამბობენ მუშების მიღებაზე და მიუთითებენ შეთანხმების პირობებზე.

რკინისგზის კავშირების მნიშვნელოვანი განყოფილებები მოითხოვენ რკინისგზელთა გაფიცვების განახლებას სრულიად ინგლისის მასშტაბით.

## ამუშავდა სასამართლო

კომუნისტ ბოლს 2 თვის ციხე მიუსაჯეს მოწოდებისათვის, რომელშიაც ის მიმართავდა მუშებს—დაეცვათ მოქმედების საბჭოები და შეედგინათ მუშათა თავდაცვის რაზმები.

მლესტერში 2 კვირის ციხე მიუსაჯეს 14 მუშას, რომლებსაც წარუდგინეს ბრალდება ხიდის აფეთქების განზრახვაში.

ნიუკესტლში კომუნისტ დარკს მიუსაჯეს სიტყვისათვის 3 თვის იძულებითი სამუშაო.

## პოლონეთში სერიოზული მდგომარეობაა

პოზნანი და პომერანია არ სცნობს პოლონეთის ახალ მთავრობას.

აღმოსავლეთ და ზემო სილეზიის დეპუტატები წინააღმდეგი არიან ეროვნულ კრების მოწვევისა ვარშავაში.

ბარტელის მთავრობის მდგომარეობას ართულებს კიდევ ის გარემოება, რომ პოლონეთის სოციალისტური პარტია საერთოდ ეროვნული კრების მოწვევის წინააღმდეგია.

## მონარქიის საწინააღმდეგო სიტყვისთვის

ინგლისის კომუნისტ ბარრატის ექვსი თვის ციხე მიუსაჯეს მონარქიის საწინააღმდეგო სიტყვისთვის.

## იაპონია დირიჟაბლებს ამზადებს

იაპონიის მთავრობამ დაუკვეთა იტალიის ქარხანას ხუთი დიდი დირიჟაბლის აგება.

ეს დირიჟაბლები უნდა იყვნენ ამუნდსენის „ნორვეგიის“ ტიპის.

## საბერძნეთ-საბჭოთა ურთიერთობა

მას შემდეგ, რაც რომ საბერძნეთმა საბჭოთა კავშირი იცნო, საბერძნეთსა და სსრკ-ს შორის ნორმალური ურთიერთობა არსებობს. ეკონომიური და სავაჭრო დამოკიდებულება წინ მიდის. საბერძნეთში გადის მრავალი საბჭოთა ნაწარმოები. ახლო მომავალში საბერძნეთიდანაც შემოვა სხვა და სხვა საქონელი ჩვენს კავშირში. ახლო მომავალში საბერძნეთსა და ჩვენს კავშირს შორის დადებულ იქნება ხელშეკრულება, რაც უფრო გააძლიერებს ორივე ქვეყნის ეკონომიურ დამოკიდებულებას.

# საბჭოთა კავშირში

## კომუნისტების სრულიად საკავშირო აღწერა

ცენტრალურ კომიტეტის სტატისტიკური განყოფილების ცნობით პარტიის წევრთა აღწერა განირჩევა 1922 წლის აღწერისაგან იმით, რომ აღწერა იწარმოებს მთელი კავშირის ფარგლებში და შეეხება არა მარტო წევრებს, არამედ კანდიდატებსაც. აღწერა მოხდება დეკემბერში. აღწერის გათავებისას დაურიგდებათ ახალი პარტბილეთი და პირადი საქმეები შეცვლილ იქნება საალრიცხვო ბარათებით.

## აფეთქება საფარმაცევტო ქარხანაში

19 მაისს, მოსკოვში, ფარმაცევტიულ ქარხანაში მოხდა ძლიერი აფეთქება, რამაც დაანგრია ერთი კორპუსი. არის ადამიანთა მსხვერპლი.

აფეთქების ნამდვილი მიზეზების გამოსარკვევად დანიშნულია კომისია.

# საქართველოში.

## შავი ქვის და ნახშირის გატანა

ფოთის ნავთსადგურიდან გავიდა ინგლისის გემი „ერლე“, რომელმაც წაიღო 8.319 ტონა შავი ქვა (ტონა უდრის დაახლ. 61 ფუთს).

გემმა ელბრუსმა წაიღო ნოვოროსიისკის დუღაბის ქარხნისთვის ტყვიბულის ქვანახშირი.

## პეპლების მოფრენა

ფოთში რამოდენიმე დღის განმავლობაში მოფრინდა აუარება პეპლების გუნდები.

მოხუცები ამბობენ, რომ ასეთი მაგალითი მათ არ ახსოვთ.

## ტყის დღე

ახალსენაკის მაზრის 11 რაიონში 16 მაისს ჩატარებულ იქნა გლეხთა კრებები, რომლებზედაც უხსნიდენ დამსწრეებს ტყის მნიშვნელობასა და მოვლას.

# საბჭოთა საჰაერო ფლოტის ახალი გადაფრენებისათვის

გასულ წელს საბჭოთა ავიაციამ მოახდინა გადაფრენა მოსკოვიდან პეკინში. ეს უდიდესი მიღწევაა საბჭოთა ხელისუფლების საზოგადოებრივი, პოლიტიკური და აღმშენებლობითი თვალსაზრისით, რომელიც ამტკიცებს საბჭოთა კავშირის კულტურის ზრდასა და აღმშენებლობის გაძლიერებას.

საბჭოთა საჰაერო გადაფრენებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რაც გამოიხატება შემდეგში:

1) გადაფრენის შედეგები მოგვცემს ავია-წარმოების აღორძინებას და გაღრმავებას;

2) როგორც მფრინავები, აგრეთვე თვით მოტორები იცდებიან და მფრინავები ღებულობენ გამოცდილებას, როგორც ფრენის საქმეში, აგრეთვე საჰაერო გზების შესწავლაში;

3) მოკლე დროის განმავლობაში ასეთი მიღწევები დაარწმუნებს საბჭოთა კავშირის მუშებსა და გლეხებს ავიაციის აღმშენებლობის აუცილებლობაში;

4) გადაფრენას დიდი საზოგადოებრივი და პოლიტიკური მნიშვნელობა ექნება საზღვარგარეთის მუშებსა და გლეხებს შორის იმ მხრივ, რომ გადაფრენა გაჰფანტავს იმ ყალბ ხმებს, რომელსაც ავრცელებს ჩვენზე ბურჟუაზიული სახელმწიფოები და ჩასჩიჩინებენ მუშებს ჩვენს „უკულტურობასა და ველურობაზე" და ბოლოს

5) გადაფრენა გამოყენებულ იქნება სამხედრო და აგიტაციის მიზნებით.

აღნიშნული მიზნები გადაფრენისა ნათლად გვიჩვენებენ იმას, რომ ჩვენი მიღწევები, იმდენად, რამდენადაც ისინი შესრულებულია 100 პროცენტით,—დიდია, რაც შედეგია საბჭოთა კავშირის მუშებისა და გლეხების კოლექტიური შემოქმედებისა.

გადაფრენას, როგორც მატერიალურად, აგრეთვე იდეურადაც ხელი შეუწყო საზოგადოება „ავიოქიმმა", რომელშიდაც შედიან საბჭოთა კავშირის მუშები და გლეხობა, რომელნიც თავიანთი წვლილის გამოღებით აგებენ ავიაციურ და ქიმიურ წარმოებას, როგორც მშვიდობიან დროს თავის საკეთილდღეოთ, აგრეთვე ომიანობისას—თავდაცვის მიზნით.

კერძოდ ამიერ-კავკასიის საზოგადოება—„ავიაქიმს" დიდი ღვაწლი მიუძღვის თვით ფრენის აღმშენებლობაში. ამიერ-კავკასიის მუშებმა და გლეხობამ თავისი წვლილით რამოდენიმე თვითმფრინავი ააგეს და გადასცეს საჰაერო ფლოტს.

ამჟამად საბჭოთა ხელისუფლება უფრო სერიოზულ საკითხის წინაშე სდგას. მან ახლო მომავალში უნდა მოახდინოს საზღვარგარეთ დიდი გადაფრენები, რომელსაც უფრო მეტი მიზანი და შედეგები ექნება, ხოლო საჭიროა მატერიალური დახმარება, რისთვისაც საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე დაიწყო კამპანიების ჩატარება. რომ ამიერ-კავკასიის მუშებმა და გლეხობამ ხელი შეუწყონ საბჭოთა ხელისუფლების მიზნის განხორციელებას და არ ჩამორჩენ სხვა რესპუბლიკებს, საჭიროა ამ მიზნით ჩატარებულ იქნას კამპანია და ყოველი მუშა და გლეხი შეგნებულად შეხვდეს და ხელი შეუწყოს საჰაერო ფლოტის ახალ გადაფრენას.

ნ. გამრეკლიძე.

# სამხედრო სწავლება განაკში

## შენიღბვა ადგილობრივი საშუალებებით.

მეომრის უბრალო შეგუება ადგილ-მდებარეობასთან ყოველთვის არ ხდის მას მტრისთვის შეუმჩნეველს. ხშირად ხდება, რომ მსროლელი კარგად შეეგუება გაშლილ ველზე ადგილმდებარეობას, მისი სხეული არ სჩანს, მაგრამ თავი და მხრები აშკარად მოსჩანს და ეს, რასაკვირველია, შესამჩნევს ხდის მას მტრისთვის. აი აქ აუცილებელი საჭიროა გამოყენებულ იქნას ადგილობრივი, ხელმოსაკრავი მასალა,—ე. ი. ის მცენარეულობა, რომელიც მოიპოვება იქვე მინდორზე, რათა თავი და მხრები შეუმჩნევი გაჰხადო.

ერთი სიტყვით, უნდა მოიქცე ისე, რომ სხეულის ნაწილები, რომლებიც აშკარავებენ მსროლელს, შეეხამებოდეს მოცემულ ადგილ-მდებარეობის ფერს. აი ამ შემთხვევაში მსროლელმა უნდა გაიკეთოს ქუდში ბალახები' ყვავილები და პატარა ტოტები. ეს ხელმოსაკრავი მასალა დაჰფარავს თავსა და მხრებს და ამრიგად მსროლელი შენიღბული იქნება.

მაგრამ ყველაფერი ეს დაკვირვებით უნდა გააკეთო და მტერს არ უნდა დაანახო, თითქოს ცოცხალი ბუჩქი გადარბენას აწარმოებდეს.

ასეთი მაგალითი ხშირი იყო მანევრებზე, როცა მსროლელები, ტოტებით, ყვავილებითა და ბალახებით თავ-შენიღბული გადარბოდენ მოხნულ უბანზე, სადაც არავითარი მცენარეულობა არ მოიპოვებოდა.

რასაკვირველია, ადგილობრივი მასალების ასეთი გამოყენება პირდაპირ საზარალოა თვით მსროლელისთვის. შენიღბვის დროს, პირველყოვლისა მხედველობაში უნდა ვქონდეს ადგილ მდებარეობის ფერი, და უნდა შეინიღბო ამ ფერთან შეხამებით. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ რომ ტანსაცმელი ან შენიღბულობა განსხვავდება ადგილ-მდებარეობის ფერისაგან, მსროლელი ისეთივე შესამჩნევი გახდება, როგორც თეთრ ქაღალდზე მელნის ლაქა, კიდევ მეტი: მოძრაობის გამო ამ შემთხვევაში მსროლელი საუკეთესო მიზანი იქნება მტრისთვის.

მცენარეულობის გამოყენების დროს დაცულ უნდა იქნას შემდეგი წესი:

1) მცენარეულობა არ უნდა ადიდებდეს მსროლელის ფიგურას (მოყვანილობას);

2) მცენარეულობა უნდა ეხამებოდეს ადგილ-მდებარეობის ფერს;

3) უნდა გვახსოვდეს, რომ შენიღბვის ეს ხერხი დამატებითი ხერხია ადგილ-მდებარეობასთან შეხამების სხვა საშუალებებზე.

მაშასადამე, ადგილობრივი ხელმოსაკრავი მასალის გამოყენება შენიღბვის მიზნით უსათუოდ აუცილებელია, მაგრამ ეს უნდა ხდებოდეს მოფიქრებითა და დაკვირვებით. მხოლოდ ასეთ პირობებში შეიძლება დაეხმაროს მსროლელს ეს საშუალება საბრძოლო გარემოების მძიმე წუთებში.

## რადიო-ძიება, ქიმიური ძიება და ძიება ნაღმით

### რადიო-ძიება

დიდი ხანი არაა მას შემდეგ, რაც რომ სამხედრო საქმეში შემოღებული იქნა რადიო(უმავთულო ტელეგრაფი). უკანასკნელ მსოფლიო ომში რადიოს გამოყენება დაიწყეს არა მარტო კავშირის, არამედ ძიების საქმეშიაც. რადიოთი გადაცემული ყველა ცნობები შიფრებითაა შედგენილი, ე. ი. დაწერილია პირობითი ნიშნებით. ხშირად, აგენტების და ფულის საშუალებით შეიძლებოდა მოპირდაპირის შიფრის, ანუ პირობითი ნიშნების შეძენა; ხშირი იყო აგრეთვე შემთხვევა, როცა სპეციალისტები უშიფროდ არჩევდენ მოპირდაპირის დეპეშებს. რადიო-დეპეშის დაჭერა თავისი რადიოთი ადვილია. მაშასადამე, შესაძლებელია მისი შინაარსის გაგებაც. მოპირდაპირე ხშირად ეჭვსაც კი ვერ აიღებს, რომ მთელი მისი საიდუმლო განკარგულება იცის მეორე მხარემ. ასე იყო რუსეთ-გერმანიის ფრონტზე მსოფლიო ომში,როცა მთელი ჩვენი რადიო-დეპეშები ხელში უვარდებოდა გერმანელებს და კითხულობდენ. ამის გამო, ომის დაწყებისთანავე გერმანელებმა სულ რამოდენიმე დღეში გაანადგურეს ორი რუსული კორპუსი.

რადიოზე ერთგვარი ხელსაწყოს შეერთებით შეიძლება გაიგო, თუ საიდან იგზავნება დეპეშა. ხოლო თუ რომ გაგზავნის ადგილი გეცოდინება, ადვილი გასაგებია მოპირდაპირის ჯარების დაგროვების ადგილი.

### ქიმიური ძიება

ყველამ ვიცით, თუ რა ზიანი მოაქვს აირებს, აირებისაგან თავდაცვა შეიძლება, თუ რომ თავის დროზე გავიკეთებთ აირმჰპობს. მაშასადამე, საჭიროა წინასწარ ვიცოდეთ, აპირობს თუ არა მტერი აირებით თავდასხმას. ამისთვის ეწყობა ქიმიური ძიება, რომელმაც თვალყური უნდა ადევნოს მტრის მიერ აირის ტალღების გამოშვებას, მოსძებნოს და განსაზღვროს მტრის მიერ მოწამლული უბნები და თავის დროზე გააფრთხილოს თავისი ჯარები მოსალოდნელ საშიშროების შესახებ.

ამას გარდა ძიებამ უნდა აღმოაჩინოს მტრის აირბალონები (ჭურჭლები აირებით), რათა ჩვენმა არტილერიამ შესძლოს მათი განადგურება. ბოლოს ძიებამ თვალყური უნდა ადევნოს ამინდსა და ქარის მიმართულებას. თუ რომ ამინდი იგეთია, რომ მტერს შეუძლია აირების გამოშვება, ძიება აფრთხილებს ჩვენს ჯარებს მოსალოდნელ საშიშროების შესახებ და, პირიქით, თუ რომ ამინდი ჩვენ გვიწყობს ხელს, ამის შესახებ აცნობებს უფროსს, რათა მოწყობილ იქნას აირებით თავდასხმა მტერზე.

### ძიება ნაღმით

პოზიციურ ბრძოლაში, როცა მოპირდაპირენი მოთავსდებიან სანგრებში რამოდენიმე ათეულ ნაბიჯზე, ხშირად მტრის მოთავსების ადგილზე გაჰყავთ გვირაბი (ბრძოლა ნაღმით). ამ გვირაბებში ჩააწყობენ ნაღმებს, რომლებსაც შემდეგ ააფეთქებენ. რომ მოპირდაპირეს საშუალება არ მიეცეს—მოაწყოს ასეთი აფეთქება, მეორე მხარე აწყობს აგრეთვე გვირაბებს, რომლებშიაც მუდმივ მორიგეობენ განსაკუთრებული მეთვალყურე-მძიებლები. მიწის ქვეშ ყოველგვარი ხმაურობა კარგად ისმის და მძიებელს ადვილად შეუძლია შემჩნიოს, თუ სად სწარმოებს გვირაბის თხრა და შეუძლია მანძილიც განსაზღვროს.

ამას ეწოდება ძიება ნაღმით.

პ.

## ამხ. ამხ. წითელარმიელებო, გამოიწერეთ და გაავრცელეთ თქვენი გაზეთი „წითელი არმიელი"

# ელექტროფიკაცია და მისი მნიშვნელობა ს.ს.რ.კ.

ჩვენი სოფლისა და ქალაქის მეურნეობისა და მრეწველობის განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის ელექტროფიკაციას. ჩვენი პარტიის მე-XIV ყრილობის რეზოლიუციაში ცენტრალურ კომიტეტის ანგარიშის შესახებ არის ერთი ადგილი, რომელიც ლაპარაკობს საბჭოთა კავშირის ინდუსტრიალიზაციის შესახებ, რაც მთავარი პირობაა ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ დამოუკიდებლობისათვის. თუ ჩვენ შევსძლებთ მთელი ქვეყნის დაკმაყოფილებას ელექტრულ ენერგიით, ამით ნახევრად გაკეთებული იქნება სოციალისტურ მშენებლობის საქმე. ამისთვის იყო, რომ ამხ. ლენინი განსაკუთრებით ყურადღებას აქცევდა ჩვენი ქვეყნის ელექტროფიკაციის საქმეს. ელექტროფიკაციის საქმე მით უფრო მეტად შეიძლება ნაყოფიერად წაყვანილ იქნას, რაც უფრო ხელსაყრელია ის ბუნებრივი პირობები, რომლებიც მთლიანად ხელს უწყობენ ამ საქმეს. ამ მხრივ ჩვენი კავშირი უსათუოდ ხელსაყრელ პირობებშია. დიდი რაოდენობა მდინარეებისა და თავისებურება მდინარეების მიმდინარეობისა იძლევიან შესაძლებლობას საკმაოდ დიდ გიდრავლიურ ენერგიის მიღებისას. რომ შევადაროთ სხვა და სხვა ქვეყნების სიდიდე შესაძლებელ ცხენის ძალის მოცემისა მივიღებთ შემდეგს:

| ქვეყნები. | ცხენის ძალა. |
|---|---|
| შეერთ. შტატები | 25.100.000 |
| კანადა | 9.819.000 |
| ავსტრია-უნგ.(ყოფ.) | 7.122.000 |
| საფრანგეთი | 6.687.000 |
| ნორვეგია | 6.620.000 |
| ესპანეთი | 5.440.000 |
| შვეცია | 5.204.000 |
| იტალია | 4.976.300 |
| შვეიცარია | 2.511.000 |
| გერმანია | 2.043.000 |
| დიდი ბრიტანეთი | 1.763.000 |
| მთელი ს.ს.რ.კ. | 20.254.000 |
| ა.კ.ს.ს.ფ.რ. | 7.500.000 |

ეს ცნობები ამტკიცებენ იმ დებულებას, რომ თავისი შესაძლებლობით წყლის ენერგიის („თეთრი ნახშირის") მხრივ ს.ს.რ.კ. დგას მეორე ადგილზე შეერთებულ შტატებს შემდეგ. ეს მდგომარეობა არის მთავარი მიზეზი და პირობა იმისა, რომ ხელისუფლება განსაკუთრებულ ყურადღებით მოეკიდა ელექტროფიკაციას ჩვენში. მაგრამ არის მეორე პირობაც. ჩვენი ქვეყანა მდიდარია არა მარტო წყლის ძალით, არამედ სხვა საწვავ პროდუქტებითაც, რომლის გამოყენება წარმოების სხვა დარგში არ არის მიზანშეწონილი მაგრამ, რომელიც შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ელექტრულ ენერგიის მიღების საქმეში. ჩვენი ქვეყნის ელექტროფიკაციისათვის 1921 წ. მიღებულ იქნა შესაფერი გეგმა, რომელიც დაამტკიცა პარტიის მე-IX ყრილობამ და რომელიც განსახორციელებლად გადაეცა საგეგმო კომისიას. თანახმად ამ გეგმისა უნდა იქნას აშენებული ელექტროსადგურები რუსეთში შემდეგ ადგილებში: 1. შტეროვის ელექტრო-სადგური, 2. ლისიჩანის, 3. ალექსანდროვის, 4. გრიშინის, 5. ბელოკვალტვინის, 6. ივანოვ-ვოზნესენსკის, 7. შატურის, 8. კაშირის, 9. ეპიფანის, 10. ბელგოროდის, 11. კრასნი ოკტ. 12. ვოლხოვის, 13. სვირის № 1, 14. სვირის № 2. 15. ცარიცინის. დიდი რაოდენობა ამ სადგურებისა გაშენებულია, დანარჩენი კი უნდა მოთავდეს უახლოეს ხანაში. ასეთია მაგალ. ვოლხოვის, რომელმაც უნდა მისცეს ენერგია რუსეთის ცენტრალურ გუბერნიებს.

ამიერკავკასია ამ მხრივ განსაკუთრებულ მდგომარეობაშია. მთელი ენერგიიდან, რომელიც მოდის მთელ ს.ს.რ.კ. 7.500.000 ცხენის ძალა მოდის ამიერკავკასიაზე. ეს შესაძლებლობას იძლევა შეფარდებით ჩვენი მეურნეობის საერთო გეგმასთან ფართედ დავაყენოთ ელექტროფიკაციის საქმე.

აზერბეიჯანში გარდა იმ ელექტრო-სადგურებისა, რომელიც იქ არსებობს, განზრახულია გაშენებულ იქნას შემდეგი სადგურები- 1. მდინარე არაქსზე სოფ. ბაბასთან 260 კილოვატი*) საათიდ. 2. მდინარე ტერტერაზე, რომელიც მდინარე მტკვრის შენაკადს წარმოადგენს. სიძლიერე ამ სადგურისა უნდა იქნას 35.000 კილოვ. არის კიდევ გეგმა მდინარე მტკვრის გამოყენებისა სადგ. მინგეჩაურთან და აგრეთვე მეორეხე გეგმა მდ. სამურის გამოყენებისა. საყურადღებოა განჯის ჰიდროელექტრული სადგურის აშენება, რომელიც უნდა დამთავრდეს ამ მოკლე ხანში.

სომხეთის ს. რ. ამ ჟამად შენდება ორი ჰიდრო ელექტრული სადგური. ერთი ერევნისა და მეორე ლენქორანისა. თანახმად გამოანგარიშებისა ერევნის სადგურმა უნდა მოგვცეს 4500 კილოვ. ენერგიისა. ეს სადგური უკვე გაიხსნა და დაიწყო მუშაობა 16 მაისიდან 1926 წ. მეორე ლენქორანის სადგურმა უნდა მოგვცეს 2.200 კილოვ. ენერგიისა. გარდა ამისა, სომხეთში შენდება კიდევ იდჟევანის ჰიდროელექტრული სადგური მდ. აკსტაფინკაზე 1.500 კილოვ. სიძლიერის. გარდა ამისა არის კიდევ მთელი რიგი ჰიდროელექტო-სადგურებისა, რომელთაც ადგილობრივი მნიშვნელობა აქვთ.

საქართველოში აღსანიშნავია ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელექტრული სადგური, რომელიც უნდა დამთავრდეს 1926 წ. ბოლოს. ამ სადგურმა უნდა მოგვცეს ნახევარ წლიურად 40.000 კილ. ენერგიისა. შემდეგ შესანიშნავია აჭარის-წყალის ჰიდრო-ელექტრული სადგური. 3.700 კილოვ. სიძლიერის, რომლის შენება უნდა დამთავრდეს 1927-28 წ. შემდეგ აღსანიშნავია აბაშის ჰიდრო-ელექტრული სადგური, რომლის სიძლიერე უდრის 2.200 კილოვ. მუშაობა უნდა დამთავრდეს 1926 წ. შემდეგ—სადგური მდ. გუმისტზე ქ. სოხუმისათვის. მისი ენერგია უდრის 1.200 კილ. არის კიდევ პატარა სადგურები ადგილობრივ მნიშვნელობისა, როგორიც არის მაგალითად ბორჯომის, ახალციხის, ხონის, აბასთუმნის, ახალქალაქისა და ახალი ათონის. ყველა ეს სადგურები შესაძლებლობას მისცემს ჩვენს მეურნეობას შრომის ნაყოფიერების გაზრდისას და ეკონომიურ გაძლიერებისას.

—ლია.

*) კილოვატი—დაახლოებით $1^1/_2$ ცხენის ძალას უდრის.

# ტერშეკრების პირველი დღეები

## ოსვლისთანავე დაინტერესდენ სამხედრო საქმით.

მე-2 არტლეგიონი.

მეორე არტლეგიონში 100% ყარეს თავი ცვალებადებმა. იშვიათი განწყობილება სებობს ამხანაგებში. მოსვისთანავე დაინტერესდენ საედრო საქმით და კიდევაც იწყეს მათთან სხვა და სხვა რალებზე მეცადინეობა. გულდგინეთ ადევნებენ თვალურს და უსმენენ უფროსების ხსნა-განმარტებას. შაშხანებს კუთარი თავივით უვლიან.

მეცადინეობისადმი სიხალისე თში თანდათან იზრდება. ველგვარი იმედებია იმის, ომ იმ მოკლე დროის განმავლობაში, რომელიც არსებობს მათ განკარგულებაში საკმაოდ შეითვისებენ სამხედრო საქმეს. ძველი წითელარმიელები ყოველმხრივად უწყობენ ამას ხელს თავისი მოქმედებით და ცვალებადელებთან ენერგიული მუშაობით. ერთმანეთთან და მეთაურებთან კარგი განწყობილება არსებობს. ყაზარმული ცხოვრებით საერთოდ მეტად კმაყოფილი არიან. ძლიერ ეტანებიან კულტურულ და პოლიტიკურ ფრონტზე მუშაობასაც.

წ. არმ. კოსტავა.

## ახალწვეულთა შეხვედრი საღამო

მე-6 ლეგიონი

15 მაისიდან ლეგიონის მთემა შემადგენლობამ მოიყარა ვი ნაწილში.

აქ არიან 1903 წელში დადებულები, რომლებიც ლეონში დარჩებიან 2 ნახ. თვე ი. 1 აგვისტომდე და 1902 ლში დაბადებულები, რომებიც ყაზარმაში დარჩებიან თვე ე. ი. 15 ივნისამდე.

ქართველები, რუსები, სომბი, გერმანელები, თათრები სები და ბერძნები. ვინ გინთ რომ აქ არ იყვეს. მშვეერი სანახავია ლეგიონი.

ახალწვეულთა გაკრეჭისა და ბანოში გაგზავნის შემდეგ დაიგდათ ახალი ტანსაცმელი.

18 მაისს საღამოს სრულ 8 ათზე მთელი ლეგიონის შედგენლობა მიწვეულ იქნა გკლუბში. აქ იყო ორკესრიც, რომელიც ჩვეულებრით ატკბობდა წითელ არმიეების სმენას.

საზეიმო სხდომა გახსნა ამხ. ოგაძემ ლეგბიურო კოლექივის სახელით. არჩეულ იქნა ეზიდიუმი, რის შემდეგ მისალმებელი სიტყვებით გამოიდნენ—ლეგთავი, სამხკომი, ურაშვილი, ლომაძე და სხვები. ყველანი აღნიშნავდენ წითელ ყაზარმის მნიშვნელობას და შეეხენ იმ ამოცანებს, რომლებიც სისრულეში უნდა მოიყვანოს ლეგიონის შემადგენლობამ ამ 2 ნახ. თვის განმავლობაში. დიდი ინტერესი გამოიწვია, მუსულმან წითელ არმიელის სიტყვამ ოსმალურად.

საპასუხო სიტყვით გამოვიდა წითელ არმიელი ახალწვეული, რომელმაც ახალწვეულთა სახელით ფიცი დასდო წ. მ. მესვეურების წინაშე, რომ ისინი ამ სამეცადინო პერიოდში მთავარ ყურადღებას, მთელ ენერგიას მიაქცევენ სამხედრო და პოლიტიკურ საქმის შესწავლას და ხელს შეუწყობენ დისციპლინის გამტკიცების საქმეს. საზეიმო სხდომის შემდეგ ნაჩვენები იქნა კინო სურათი „არსენა ჯორჯიაშვილი“, რამაც ახალწვეულებში დიდი შთაბეჭდილება დასტოვა; განსაკუთრებით კახელ ამხანაგებში.

კლუბის გამგეობას მომავალში განზრახული აქვს კინო სურათები უჩვენოს ახალწვეულებს ყოველ კვირაობით.

სამხკორი დავ[illegible]ომი.

## ცვალებადელთა შეკრება მე-5 ლეგ. მე-3 ათასეულში.

1903 წელში დაბადებული ცვალებადელები უკლებლივ შეიკრიბენ ხსენებულ ათასეულში. შეკრება სასურველად დამთავრდა 13 მაისს. 14 მაისს უკვე ჯგუფებში განაწილებულ ცვალებადელებზე შესაფერად ზრუნავდენ მეთაურები. გამოჰქონდათ მათთვის ტანსაცმელი, აგზავნიდენ აბანოში, საპარიკმახეროში თავების გასაკრეჭად და სხვა.

ათასეულში უკვე დაიწყო ასეულდბით ცვალებადელების მეცადინეობა.

ახლად მოსულები კარგ შთაბეჭდილებას სტოვებენ. ყველას ეტყობა, რომ მოსული არიან ნაწილში, რათა მცირე ხნის განმავლობაში შესძლონ რაც შეიძლება კარგად შეითვისონ სამხედრო საქმე.

ყველა მონდომებით ეკიდებიან მეცადინეობას.

მეთაურები ყოველ ღონეს ხმარობენ, რომ ლეგიონში ჩაიყვანონ კარგად დარაზმული ცვალებადელები.

ამ დღეებში გაემგზავრება ათასეული ლეგიონის ყაზარმებისაკენ.

ნამ—ლი.

## ვსწავლობთ აირებისაგან თავდაცვას

მე-3 ლეგიონი

ლეგიონში თავდაცვის შესწავლას დიდი ყურადღება ექცევა; ამისათვის პირველ ყოვლისა ვსწავლობთ ნიღაბების მოხმარას, და სხვა და სხვა მახრჩობელა გაზების თვისებებს.

საზაფხულო პროგრამასთან დაკავშირებით აირებისაგან თავდაცვას გავდივართ პრაქტიკულადაც.

ამ მიზნით ნაწილში არის მოწყობილი განსაკუთრებული ოთახი, სადაც შეიძლება გაზის დაგუბება. ოთახში შეყავთ წითელ არმიელები განსაზღვრული დროის განმავლობაში.

მიუხედავად იმისა, რომ ოთახში არის საშინელი სიცხე, წითელ არმიელები ხალისით მიდიან, ზოგიერთი კი თავისი სურვილით ორ-სამხელ მიდის ოთახში და ამ რიგად ეჩვევიან მახრჩობელა გაზებში დიდხანს გაჩერებას, რაც აუცილებლად გაგვიადვილებს საჭიროების დროს ნიღაბების მოხმარას და საშიშროების თავიდან აცილებას.

ნ. კალანდაძე.

## რემედასის მუშაობა მოისუსტებს

1-ლ ლეგიონის სკოლის რემედასის მუშაობა ძლიერ შესუსტდა ამ უკანასკნელად. მიუხედავად იმისა, რომ კურსანტების მთელი შემადგენლობა არის ჩაწერილი წევრებათ და რეგულიარულადაც იხდიან საწევრო გადასახადს, უჯრედში მაინც არაფერი კეთდება.

აგერ სამი თვე იქნება მას შემდეგ რაც არჩეული იქნა რემედასის ბიურო, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში ერთხელ არ მოუწვევია მას კრება, არ გაკეთებულა მოხსენებები რემედასის დანიშნულებასა და მნიშვნელობის შესახებ.

ზოგიერთი წევრი ამის გამო სრულიად გაურკვეველია იმაში თუ ვის ეხმარება და რა მოვალეობებს ა ასრულებს აღნიშნული უჯრედი.

იმედია რემედასის უჯრედი მომავალში მაინც გამოაცოცხლებს მუშაობას და პირნათლად შეასრულებს თავის მოვალეობას. ეს აუცილებელია წესიერი მუშაობისათვის.

ბ. ვ—ა.

### მოგვეცით განათება

აგერ რამოდენიმე დღეა, რაც ცხენ. ლეგიონის ყაზარმებში შეწყდა განათება. როგორც ცხენ. ლეგიონის დარჩენილი ნაწილი, ისე ყაზარმებში დროებით გადმოსული მე-2 არტლეგიონი საღამოობით ვეღარ ვაწარმოებთ მუშაობას, სიბნელის გამო. ესკადრონებში დიდ არევ დარევას აქვს ადგილი.

საჭიროა კომენდანტი დროზე მიაქცევდეს ამ გარემოებას ყურადღებას.

ცეცხლი.

# განაკში გასვლის შემდეგ

## ვეხმარებით გლეხებს

მე-4 ლეგიონი

ამას წინად ლეგიონის წითელ არმიელების ერთი ჯგუფი ასეულის მამასახლისის თაოსნობით გავემგზავრეთ მახლობელ სოფელში, ადგილობრივი გლეხების დასახმარებლათ. სიმღერით გავემართედ არჩეული სოფლისაკენ მიწის სამუშაო იარაღებით. სოფელში მისვლისას მთელი გლეხობა შემოგვეგება წინ, თანაგრძნობით დაგვიწყეს ყურება. ჩვენც განვაცხადეთ თუ რა მიზნით მივედით მათთან. მიგვითითეს ერთ ღარიბ გლეხზე. თვალის დახამხამებაში შევესიეთ გლეხის ბაღს და დავიწყეთ მუშაობა. ბაღის პატრონის სიხარულს საზღვარი არ ქონდა. გავაჩაღეთ სიმღერა და მთელი დღის განმავლობაში ვმუშაობდით შეუჩერებლად. ბაღი სრულიათ დავამუშავეთ.

წამოსვლის დროს ისევ შეიყარეს თავი გლეხებმა და გავმართედ მათთან საუბარი.

ერთხმად მადლობას უხდიდენ ისინი არსებულ ხელისუფლებას და გაიძახოდენ, რომ მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს შევსძელით თავისუფლად ამოსუნთქვაო.

ვისაუბრეთ აგრეთვე მრავალ საჭირ-ბოროტო საკითხებზე. დასასრულ გლეხებმა კიდევ ერთხელ გადაგვიხადეს ასეთი თანაგრძნობისათვის მადლობა და გვთხოვეს ხშირად მოვინახულოთ ისინი, რაც ჩვენც აღუთქვით.

ასე უახლოვდებით გლეხებს და ვაცნობთ მათ თუ რას გვასწავლიან წითელ ყაზარმაში და როგორ დამოკიდებულებაში უნდა ვიყოთ მშრომელ ხალხთან.

ალ. ხარებაშვილი.

## უკან მაინც არ ჩამოვრჩებით.

1-ლი ლეგიონის 2 ასეული.

მას შემდეგ რაც რომ ლეგიონი გავიდა ბანაკში, ყაზარმაში დატოვებულ მე-2 ასეულში თითქმის შეწყდა მეცადინეობა, რადგან გამუდმებულად გვიხდება განწესებაში სიარული. მიუხედავათ ამისა თვითგანვითარების საქმე მაინც არ ფერხდება. ყოველ საღამოობით ოცეულის მეთაურები აწყობენ საუბრებს პოლიტიკურ თემებზე.

ლენინის კუთხეზე მიმაგრებული ამხანაგები ავალებენ პარტიისა და კომკავშირის წევრებს ენერგიულად მოკიდონ ხელი თემების დამზადებას და ყოველ საღამოობით ჩაატარონ საუბრები წითელ არმიელებთან. ამხანაგები პირნათლად ასრულებენ ამ დავალებებს. საუბრები სისტემატიურად ტარდება ყოველ საღამოობით. წითელ არმიელებიც ძლიერ არიან დაინტერესებული—პოლიტცოდნით. ყველანი სცდილობენ, რომ კარგად მოემზადონ და არ ჩამორჩენ უკან ბანაკში გასულ წითელ არმიელებს.

რ. ოპოლაძე.

## გავედით პრაქტიკულ მეცადინეობაზე

1-ლი ლეგიონის სკოლა.

სკოლამ ეს ერთი ხანია რაც დაამთავრა საზამთრო მეცადინეობა და სათანადოთაც იქნა გავლილი ზამთრის პროგრამა. კურსანტები თეორიულად კარგად არიან მომზადებული.

ამჟამად გადავედით თეორიულად გავლილის პრაქტიკულად გამოყენებაზე.

ხშირად გავდივართ საგარნიზონო და შინა ყარაულში, ვითვისებთ ყარაულის უფროსის თანაშემწის, გამრიგებლის და გუშაგის მოვალეობებს.

კურსანტთა მთელი შემადგენლობა გულმოდგინეთ ეკიდება ამ საქმეს. ყველას შეგნებული აქვთ თავისი ვალდებულება და უკან დაუხევლად ასრულებენ ყოველგვარ ბრძანებასა და განკარგულებებს.

ბ. ვარდია.

## ხშირად ასეთი ექსკურსიები

1 ლი ლეგ. 1 ლი ათასეული.

19 მაისს ჩვენი ათასეული წაიყვანეს ქართული ისტორიის, სასოფლო სამეურნეო მუზეუმის და სამხატვრო გალერეიის დასათვალიერებლად. ექსკურსია მეტად სასიამოვნო შეიქმნა წითელ არმიელებისათვის. აქ ბევრი რამე ვნახეთ ჩვენი ქვეყნის ისტორიული წარსულიდან. დაწვრილებით გვიხსნიდენ ყველაფერს და გვაცნობდენ ჩვენი წინაპრების ცხოვრებას. კარგი შთაბეჭდილება მოახდინა აგრეთვე სასოფლო სამეურნეო მუზეუმის ნახვამაც წითელ არმიელებზე.

ისინი აძლევდენ ხელმძღვანელს მრავალნაირ შეკითხვებს და აინტერესებდათ ყოველგვარი წვრილმანი.

ძველი ქართული მხატვრობის ნახვამ კიდევ უფრო გაახარა ამხანაგები. ყველგან იძლეოდენ დაწვრილებით ახსნა განმარტებას.

გაუგებარი არაფერი არ რჩებოდა ჩვენთვის. კარგი იქნება ხშირად მოგვიწყობდენ ხელმძღვანელები ასეთი ექსკურსიებს და გაგვაცნობდენ ჩვენი ქვეყნის საინტერესო დაწესებულებებსა და ადგილებს.

ძინძიბაძე.

## შევისწავლეთ შაშხანა.

მე-4 ლეგ. საკომენ. ოცეული.

ოცეულში ელექტრონის საშვალებით შევისწავლეთ თოფის ყველა ნაწილები. მოწყობილი იყო მექანიკურად ფიცარი, რომელზედაც ელექტრონის შუქის საშვალებით აღიბეჭდებოდა თოფის ნაწილების სახელები. შემდეგ სწარმოებდა თოფის დაშლა და აწყობა ელექტრონის ენერგიის საშვალებითვე. წითელ არმიელებში დიდ ინტერესს იწვევდა ასეთი წესი და გაფაციცებით ადევნებდენ თვალს.

ამ ჟამად წითელ არმიელებმა ზედმიწევნით კარგად იციან შაშხანა. ვსწავლობთ სხვა იარაღებსაც შეძლებისდაგვარად. ვითვისებთ მათი მოხმარების წესებს და მნიშვნელობას.

წითელ არმიელები გულმოდგინეთ ეკიდებიან სამხედრო საქმის შესწავლას. ამ მხრივ არ ჩამოუვარდებით ლეგიონის სხვა ნაწილებს.

წ. არმ. ექვთიმეშვილი.

## კოლის გარეშე მუშაობა ჩვენთან.

მე-6 ლეგიონი.

30 აპრილს ლეგიონის უფოლიტ და წითელ არმიელთა ერთო კრებაზე კლუბის გამეობის თავმჯდომარემ გააკეთა ანგარიშო მოხსენება სკოის გარეშე მუშაობის შესაებ ლეგიონში.

მომხსენებელმა ექვსი თვის ანმავლობაში ჩატარებული უშაობა დაყო 3 პერიოდათ: . მუშაობა ცვალებადელთა მეკრებათა შორის მუაობა) 2. ვევამდელებთან მუშაობა და ) მუშაობა ძირედ შემადგენლობაში.

ყოველთვიურათ კლუბის გაგეობა იმუშავებდა თვიურ საუშაო გეგმებს, რომელიც ეძეოდათ პოლიტხელებს და კანასკნელები თავთავის ასელებში ატარებდენ ამ გეგმეის მიხედვით მუშაობას. გეგები აშენებული იყო წითელ არმიელთა ინტერესებზე, მოთხოვნილებებზე და მათ განწყოლბილებებზე. ლეგიონის ძირედ ნაწილებში ჩამოყალიბებული იქნა 12 ბირთვი, რომლებშიაც ჩაბმული იყო 275 კაცი. ბირთვების მეცადინეობა მიმდინარეობდა კვირაში 2-ჯერ თავისუფალ დროის მიხედვით. ჩამოყალიბებულ იქნა აგრეთვე 8 წრე 175 კაცით. წრეები მეცადინეობდენ კვირაში 1-ჯერ. წრეებს დამუშავებული თემები მასიურ მუშაობის ფორმებათ გადაქონდათ წ/არმ. ფართო მასაში.

საანგარიშო პერიოდში გაშვებულ იქნა 51 წარმოდგენა, აქედან მე-2 და მე-3 ათასეულების დრამწრეებმა სიღნაღისი და თელავის მაზრის სხვა და სხვა სოფლებში დადგეს 22 წარმოდგენა. მე-2 და მე-3 ასეულებმა ლიუქსებურგისა და დუშეთის სოფლებში-5 წარმოდგენა. დანარჩენი გაშვებულ იქნა ადგილობრივ თბილისში. ნაჩვენები იქნა კინო სურათები 19-ჯერ. ჩატარებული იქნა ლექციები სხვა და სხვა საინტერესო თემებზე 6-ჯერ. მოეწყო ექსკურსიები სხვა და სხვა მუზეუმებსა და ქარხნებში 8-ჯერ კითხვა პასუხის საღამო—12 ჯერ.

წვევამდელთა 21 წერტზე მოწყობილი იქნა ლენინის კუთხეები. მთავარი ყურადღება მიექცა მათ შორის მუშაობას. ყველა წერტებზე გამოშვებულ იქნა 3-მი კედლის გაზეთი; მოკლე ვადიან ტერშეკრების დროს მოეწყო მათთან საუბრები, სპეციალური საღამოები მათი შეხვედრისათვის და სხვა.

კლუბი მთავარ ყურადღებას აქცევდა აგრეთვე ლოზუნგს „მოსახლეობის გ სამხედროებას“. ამ მიზნით მან პარტ-ბიუროსა და სამხედრო სამეცნიერო საზოგადოების პრეზიდიუმთან შეთანხმებით შესძლო გაეხსნა 26 სამხედრო კუთხე; აქედან მოწყობილია თელავის სხვა და სხვა სოფლებში—8, სიღნაღის სოფლებში—8, დუშეთში—3, ლიუქსემბურგში—3, სართიჭალაში—2, და თბილისში—2. ყველა კუთხეებში საკმაოთ მოიპოება სამხედრო ლიტერატურა, ჟურნალ გაზეთები, ლოზუნგები პლაკატები და რევოლიუციის ბელადების სურათები.

ლეგსაერთო კრებამ კლუბის გამგეობის საქმიანობა დამაკმაყოფილებლად სცნო და მისცა მას პრაქტიკული მითითებანი მომავალ მუშაობისათვის. ამის შემდეგ არჩეული იქნა ახალი კლუბის გამგეობა 11 წევრის შემადგენლობით.

სამხკორი ე—ლი.

# ᲛᲝᲡᲙᲔᲗ ᲜᲐᲙᲚᲣᲚᲔᲕᲐᲜᲔᲑᲐᲜᲘ

### ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲐ ᲒᲐᲛᲝᲘᲠᲙᲕᲔᲡ

მე-6 ლეგ. 2 ათასეულის გარეთ წერტებზე მყოფ უმცროს მეთაურებს გადმოგვიგზავნეს 1905 წელში დაბადებულ ახალგაზრდობის მომზადებისათვის გაწეულ შრომის საფასური. 10 კაცმა მივიღეთ ექვს-ექვსი მანეთი თითეულმა. სიებზე კი 6 კაცს მოგვაწერიეს ხელი თითქოს თითეულმა მივიღეთ 10 მანეთი.

ნამდვილად კი როგორც გამოირკვა ეს თანხები გადმოგზავნილი იყო ექვსი კაცისათვის. საჭიროა ვისგანაც ჯერ არს ყურადღება მიაქციოს ამ გარემოებას.

ხომ არ აქვს ადგილი რაიმე ბოროტმოქმედებას?

შაორელი.

### ᲐᲠᲐ ᲒᲕᲐᲥᲕᲡ ᲬᲧᲚᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲙᲐᲕᲔᲑᲔᲚᲘ

მე-4 ლეგიონის საყარაულოში არა გვაქვს ერთი წყლის მოსაკავებელი ჭურჭელი. ამის შესახებ რამოდენიმეჯერ მივმართეთ სადაც ჯერ არს, მაგრამ ყურადღება არვინ მოგვაქცია. წყურვილის მოსაკლავად დიდ მანძილზე გვიხდება სიარული, რაც დაუშვებელი ხდება ჩვენი მოვალეობის ასრულების დროს.

მოგვეცით ერთი ჭურჭელი და გვიხსენით უხერხულ მდგომარეობისაგან.

ნიკო

### ᲡᲐᲬᲧᲝᲑᲨᲘ ᲣᲡᲣᲤᲗᲐᲝᲑᲐᲡ ᲐᲥᲕᲡ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ

1-ლი არტლეგიონის საკუჭნაოში ძლიერ უსუფთაოდ ინახება ხორცი. მეკუჭნავე ვალდებულია, რომ ის ადგილი, სადაც იწყობა ხორცი ყოველ დღე ირეცხებოდეს ადუღებული წყლით. მიხედავად ამისა არა თუ ყოველ დღე, რამოდენიმე თვე გადის აგერ, რაც ის არ გარეცხილა.

ვინ იცის როგორი ბაქტერიები ჩნდებიან იქ სიბინძურისაგან და რა ზარალის მიყენება შეუძლია მას წითელ არმიელების ჯანმრთელობისათვის.

დროა გააფრთხილონ ჩვენი მეკუჭნავე.

უ—წველი.

### ᲩᲕᲔᲜᲪ ᲒᲕᲘᲜᲓᲐ ᲒᲐᲜᲐᲗᲔᲑᲐ

მე-4 ლეგიონის სამნეო ასეულში არა გვაქვს ღამით განათება. ვერ ვკითხულობთ ვერაფერს. თავისუფალი დრო კი მხოლოდ ღამღამობით გვაქვს. მთელი დღე კი მუშაობაში ვართ ჩაბმული.

არ სწარმოებს არც ხმამაღალი კითხვა. რამოდენიმეჯერ მივმართეთ ლეგიონის საკავშირო გუნდს ხაზის შეკეთებისათვის ნაწილში, მაგრამ ყურადღება არ მოგვაქციეს. არ მოდიან და არ ასწორებენ ენერგიის გამტარ ხაზს.

დროა აიძულონ ეს ამხანაგები შეასრულონ თავიანთი მოვალეობა.

კ—ლი.

## ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

**საყარაულო ტანსაცმელი**

ბანაკში მყოფ ნაწილებს გაეგზავნებათ სპეციალური საყარაულო ტილოს ტანსაცმელი. თითეული ლეგიონისათვის ამ მიზნით გადადებულია 5 რწყვილი, ხოლო უფრო მცირე ნაწილებისათვის კი—3; ტანსაცმელს მოიხმარებენ გუშაგები და დღიურები.

# ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡ ᲐᲠᲛᲘᲔᲑᲨᲘ

## ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲝ ᲨᲔᲘᲐᲠᲐᲦᲔᲑᲐ.

1922 წელში მოხდა ამერიკის სატახტო ქალაქ ვაშინგტონში კაპიტალისტურ სახელმწიფოების კონფერენცია საერთო საზღვაო განიარაღების შესახებ. იქ გამოიმუშავეს ერთგვარი ნორმა, რომლის ზევით არ შეეძლო არვის შეექმნა—გაეძლიერებია თავისი საზღვაო-სამხედრო ფლოტი. ეს დადგენილება რა თქმა უნდა არ ტარდება სინამდვილეში. კონფერენციაზე მონაწილე თითეული სახელმწიფო სცდილობს საიდუმლოდ გააძლიეროს თავისი ძალები და მომზადებული გამოვიდეს საჭიროების დროს. ვაშინგტონის კონფერენცია უბრალო ნიღაბია, რომლის იქით განიარაღების მაგიერ სწარმოებს ძლიერი შეიარაღება.

კონფერენციის შემდეგ პირველად ინგლისი შეუდგა დიდი ჯავშნოსანი კრეისერების აგებას. ისინი ეხლაც შენდებიან. კრეისერების აგების დროს გამოყენებული იქნა ტეხნიკის უკანასკნელი მიღწევები. მათი ღირებულება აღემატება 100 მილიონ მანეთს.

უკანასკნელად აუცილებელ მოთხოვნილებად შეიქნა კრეისერებისათვის სისწრაფე. ზღვებზე სწრაფი მიმოსვლა, საჭიროების დროს ყველგან გამოჩენა, მტრის საზღვაო ვაჭრობისათვის ხელის შეშლა და მძიმე დრედნოუტების მხედველობიდან გაქცევა—აი ის უპირატესობანი, რომლებიც უნდა აკმაყოფილებდენ კრეისერებს.

მრავალ სახელმწიფოებმა მიაქციეს ამ გარემოებას ყურადღება და თანდათან აძლიერებენ თავიანთ ფლოტს კრეისერებით.

უკანასკნელ ხანებში დაიწყეს ახალი ტიპის კრეისერების აგება, რომლის ტვირთზიდვა უდრის 17.000 ტონს. მას აქვს სამხედრო კრეისერის ყველა თვისებები, კარგად არის დაცული ჯავშნით და აღჭურვილია 305 მილიმეტრიან ქვემეხების ბატარეიით.

კრეისერის სიჩქარე არ ჩამოუვარდება 10.000 ტონიან კრეისერების სიჩქარეს.

ასეთი ტიპის კრეისერები აიძულებს ყველა სახელმწიფოებს გადააკეთონ თავიანთი მსუბუქი სამხედრო ფლოტი ან და გადასცენ არქივს.

უკანასკნელ მიღწევათ ჩაითვლება აგრეთვე ე. წ. ავიო ბაზების შემოღება საზღვაო ფლოტში. სამხედრო ტეხნიკის უკანასკნელი სიტყვა მაინც არ თქმულა ავიობაზების შემოღებით.

1923 წელში ინგლისელ ინჟენერმა ტურსტონიმ გამოაქვეყნა ცნობა და შემდეგ შეადგინა კიდევაც ახალი ტიპ[...] დრედნოუტის პროექტი.

ეს დრედნოუტი ამავე დრო[...] შეასრულებს ავიობაზის რო[...] საც. ასეთი დრედნოუტის [...] სიცოცხლო ნაწილები დაცუ[...] იქნებიან სქელი ჯავშნით. რო[...] გორც ავიობაზას, მას არ ექნ[...] ბა არც კვამლის მილები [...] არც სხვა გამოშვერილი ნაწ[...] ლები, გარდა ერთი ხიდისა ბ[...] ქანზე. მთელი ბაქანი გადაქ[...] ული იქნება აეროდრომად 30 [...] 50 ჰაეროპლანებისათვის. აფრ[...] ნის დროს ბაქანზე გაგორებ[...] სათვის საჭირო ძალას ისინ[...] მიიღებენ განსაკუთრებული მ[...] ქანიზმის—კატაპულტისაგან. ავ[...] იაბაზაზე დაშვების დროს [...] ისინი დაეშვებიან პირველ[...] ლიფტებზე (ასაწევი მანქან[...] ბი) სპეციალურად ბაქანის ქვე[...] მოწყობილ და ჯავშანით და[...] ცულ ანგარეში.

ასე აგრძელებს კაპიტალის[...] ტური მსოფლიო თავის შეია[...] რაღების საქმეს და გაფაციცე[...] ბით ემზადება სისხლის მღვრე[...] ლი ომებისათვის.

## ᲞᲐᲡᲣᲮᲘ ᲡᲐᲛᲮᲙᲝᲠᲔᲑᲡ

**ძინძიბაძეს** (1-ლი ლეგიონი) თქვენი წერილი სადილის გაუარესების შესახებ არ დაიბეჭდება. ამის შესახებ დაიბეჭდა ჩვენს გაზეთში და მიღებული იქნება შესაფერი ზომები.

**მხედარს** (3 ლეგიონი) თქვენი კორესპონდენციები მეურმეების და ბანაკად გასვლის შესახებ არ დაიბეჭდება. პირველი გამოუსადეგარია ჩვენთვის, ხოლო მეორის შესახებ იყო ჩვენს გაზეთში.

**ძინძიბაძეს** წერილი „ზიზღი ასეთ ამხანაგებს“ არ დაიბეჭდება.

**ქვიშიანხეველს** (1ლი არტლეგ.) თქვენი კორესპონდენცია წითელ არმიელების შესახებ გამოდგება ადგილობრივ კედლის გაზეთისათვის.

**კახიძეს** წერილი სადილის შესახებ უმნიშვნელოა, სწერეთ ნაწილში მუშაობის შესახებ.

**მეფარიშვილს** (6 ლეგ.) თქვენი კორესპონდენცია აივაზოვის შესახებ არ გამოდგა. მოიწერეთ სხვაზე და ხშირად რაც შეიძლება.

## ᲕᲘᲡ ᲐᲥᲕᲡ ᲡᲐᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒᲝ?

1-ლ ქ. მ. დ. საარტილერიო ლეგიონის ბიურო-კოლექტივში შემოტანილია განცხადება ვალერიანე სამსონისძე ჩომახიძის და მიხარაქდენისძე კაპანაძისა, პირველის საკ. კომ. პარტიის წევრად და მეორე საკ. კომ. პარტიის კანდიდატად გადარიცხვის შესახებ.

თუ ვინმეს აქვს საწინააღმდეგო ზემოაღნიშნულ პირების შესახებ, გთხოვთ აცნობოთ საარტილერიო ლეგიონის ბიურო-კოლექტივს—დღიდან გამოცხადებისა— ერთი კვირის განმავლობაში.

ბ. კ. ტეხ. მდივანი გოგავა.


## ᲠᲐ ᲦᲘᲠᲡ „ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲐᲠᲛᲘᲔᲚᲘ“!!

ცალკე ხელის მომწერთათვის:

| | |
|---|---|
| 1 თვით | 50 კაპ. |
| 3 თვით | 1 მ. 35 კ. |
| 6 თვით | 2 მ. 50 კ. |
| 12 თვით | 5 მან. |

წითელ-არმიელებისათვის კოლექტიური ხელისმოწერა არა ნაკლებ 10 ცალისა:

| | |
|---|---|
| 1 თვით | 40 კაპ. |
| 3 თვით | 1 მ. 10 კ. |
| 6 თვით | 2 მ. |
| 12 თვით | 3 მ. 80 კაპ. |

ცვალებადებლთათვის სოფელში გადაგზავნით იგივე რაც წითელ არმიელებისათვის


# ᲒᲐᲕᲐᲯᲐᲜᲡᲐᲦᲝᲗ ᲡᲝᲤᲔᲚᲘ.

### ᲤᲘᲖᲙᲣᲚᲢᲣᲠᲐ ᲡᲝᲤᲚᲐᲓ.

მოახლოვდა ზაფხული. შესაძლებელი ხდება ფართე გასაქანი მიეცეს სოფელში ფიზკულტურას—სხეულის ვარჯიშობას. სამხედრო ცოდნის წრეებმა უნდა დაიწყონ მუშაობა ამ მიმართულებით.

სამხედრო წრის ერთი-ერთი წევრი, რომელიც უფრო დახელოვნებული იქნება ფიზკულტურაში და იცის მეცადინეობის წესები, გამოყოფილი უნდა იქნეს ტანვარჯიშობის ხელმძღვანელად.

საჭიროა მოეწყოს სოფლებში ქოხ-სამკითხველოებთან სპეციალური სავარჯიშო მოედანი სპორტიული თამაშისა და შეჯიბრების გასამართავად.

მოედანი უნდა გადაიქცეს სოფლის ახალგაზრდობის ფიზიკური ვარჯიშობის და გაჯანსაღების ცენტრად.

### ᲠᲝᲒᲝᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲝᲔᲬᲧᲝᲡ ᲛᲝᲔᲓᲐᲜᲘ

სოფლის ცენტრში ყოველთვის შეიძლება გამონახული იქნას პატარა მოვაკებული ადგილი—მოედანი. საჭიროა გასუფთავებული იქნეს ის ქვებისა და ნაგავისაგან და მოედნის ნაპირებზე გაკეთდეს სახტომები. 100×65 მეტრი მოედანი თავისუფალი უნდა დარჩეს მასიური თამაშობისათვის.

სამხედრო ცოდნის წრეებსა და ქოხსამკითხველოს თანხებიდან შეძენილი უნდა იქნას 2—3 ფეხის ბურთი, ბადრო, დაშნა და სხვები. პირველ ხანებში ეს საკმარისი იქნება.

### ᲠᲝᲒᲝᲠᲘ ᲛᲔᲪᲐᲓᲘᲜᲔᲝᲑᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲥᲜᲐᲡ ᲩᲐᲢᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲢᲐᲜᲕᲐᲠᲯᲘᲨᲝᲑᲐᲨᲘ?

შეიძლება გატარებული იქნას: 1. მსუბუქი ვარჯიშობის ძირითადი სახეები; 2. ვარჯიშობის უმარტივესი სახეები; 3. ჭიდაობის სხვა და სხვა სახეები, რომელიც მეტად აინტერესებს ახალგაზრდობას; 4. თამაშობანი მოძრავი და სასპორტო.

**ტანვარჯიშის მოძრაობისათვის** საჭიროა სრულიად უბრალო იარაღები: თარზული კუნძი, კიბე, ჯოხი და ბაწარი საფოფხავად. ყველა ეს იარაღები ადვილად შეიძლება დამზადებული იქნეს სოფელში უბრალო დურგლის მიერაც.

**მსუბუქი ვარჯიში** (ატლეტიკა): 1. რბენა მოკლე 50, 60, 100 მეტრის მანძილებზე. შესწავლა სტარტის, უბრალო გადაცემები და სხვა.

**2. რბენა საშვალო მანძილებზე:** 800, 1000, 1500, 2000 მეტრზე, სხვა და სხვა მიმართულებით, გზებით, ღელებზე, ხრამებზე გადახტომით, მდინარეების ტბების გადაცურვით და სხვა.

ეს საუკეთესო სამხედრო ხასიათის აღმზრდელობითი საშვალება.

**3. ხტუნვა:** სიგრძეზე და სიგანეზე; ადგილიდან და გაქცევით ხტომა ორივე ფეხით. ჯოხებზე გადახტომა.

**4. ტყორცნა:** ხელის შუბების, ქვების და ბირთვების მანძილზე და მოხვედრაზე.

**5. ბრძოლაში მეცადინეობა** უნდა დაიწყოს ბაწრის ორი ჯგუფის მიერ გაქაჩვით და სხვა სახის ჭიდაობანით: კავკასიური წელზე მოჭიდება, ფრანგული თუ ამის მცოდნეები აღმოჩნდებიან და სხვა.

6. **გამოყენებული უნდა** იქნეს სოფელში მიღებული სხვა და სხვა სახის მასიური თამაშობანი, რომელიც ძლიერ დააინტერესებს ადგილობრივ ამხანაგებს. ხშირად უნდა გაიმართოს შეჯიბრივი ფეხბურთში.

### ᲠᲝᲒᲝᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲩᲐᲕᲘᲗᲠᲘᲝᲗ ᲛᲔᲪᲐᲓᲘᲜᲔᲝᲑᲐᲨᲘ ᲛᲐᲡᲔᲑᲨᲘ

სპორტხელმძღვანელმა უნდა იცოდეს, რომ სოფლის ახალგაზრდობა დიდი მოყვარულია მასიური გასართობების. აქედან უნდა დაიწყოს მან თავისი მუშაობა.

ხელმძღვანელი შეკრებს სოფლის ყველა აქტიურ ამხანაგებს. 1 მეტრსა და 20 სანტიმეტრის სიმაღლეზე გასდებს ჯოხს და ეუბნება მათ, რომ თითეული ნორმალური ადამიანი უნდა ხტებოდეს ასეთ სიმაღლეზე. ის ამით დიდ დაინტერესებას გამოიწვევს ახალგაზრდობაში. შეიძლება ნაკლებ სიმაღლეზეც იქნეს ჯოხი გადაბული.

ამავე დროს ხელმძღვანელი უხსნის ახალგაზრდობას ხტომის წესებს. ყოველთვის ისეთი თამაშობანი უნდა იქნეს ამორჩეული, რომ შეიძლებოდეს შიგ მაყურებლების ჩაბმაც. თუ ხელმძღვანელი შეატყობს დაღლას თამაშში მონაწილეებს, მან წამსვე უნდა შესწყვიტოს ის მიუხედავად მონაწილეთა სურვილისა.

### ᲤᲘᲖᲙᲣᲚᲢᲣᲠᲐ ᲓᲐ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲧᲝᲤᲐ-ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

სავარჯიშო მოედნები ხელს უნდა უწყობდენ აგრეთვე სოფლის ყოფა-ცხოვრების გაჯანსაღების საქმეს. ახალგაზრდობაში უნდა ვაწარმოოთ აგიტაცია, განსაკუთრებითბავშვებში, რომ აღნიშნულ მოედნებზე მიიღონ მზის ვანები გაწოლით ან ტიტველა—ტრუსიკებში ჩაცმული თამაშის დროს.

თუ ამასაც დაემატება ცივი წყლით ტანის დაზელვაც, მაშინ ხომ საუკეთესო იქნება.

ახალგაზრდობაში სისუფთავის დაცვის გრძნობის განვითარება კიდევ მით არის საყურადღებო, რომ ისინი თავისთავად შეეცდებიან შემდეგ საკუთარ ოჯახებში ფიზკულტურის შემოღებას. სამხედრო წრეებმა სოფლებში სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციონ ამ უდიდესი მნიშვნელობის საქმეს.

ვ.

## ᲓᲐᲕᲙᲐᲠᲒᲔ

პარტ-კანდიდატობის მოწმობა №2288 შ. მომფორიას სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

ნ. დ. ს. ც. სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. № 3. პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე.